ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ASB Arbeiter-Samariter-Bund

KPDF

CHCA Charity Humanitarian Centre Abkhazeti

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოციალური საჭიროებებისა და მუნიციპალური პროგრამების შეფასება

თვისებრივი კვლევის ანგარიში

შინაარსი

შესავალი 4
1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 5
1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები 5
1.2. კვლევის მიდგომები და ინსტრუმენტები 5
1.3. სამიზნე ჯგუფები 6
1.4 მონაცემთა დამუშავება და ანალიზი 7
1.5 კვლევის ეთიკის პრინციპები 7
1.6 კვლევის შეზღუდვები 8
2. ძირითადი მიგნებები 9
3. რეკომენდაციები 12
4. კვლევის შედეგების ანალიზი 13
4.1 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზოგადი პროფილი 13
4.2 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საჭიროებები 15
4.2.1 სპეციფიური ჯგუფები და მათი საჭიროებები 17
4.3 COVID-19-ის გავლენა მოსახლეობის საჭიროებებზე 22
4.4 მუნიციპალური პროგრამები და მათი შესაბამისობა მოსახლეობის საჭიროებებთან 23
4.5 პროგრამების დაგეგმვა, სექტორთაშორისო კოორდინაცია და მოსახლეობის ინფორმირება 27
4.5 თემში არსებული რესურსი 31
5. მონაწილეთა რეკომენდაციები 32
ბიბლიოგრაფია 32

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

შესწავლის მიზანს წარმოადგენდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება, საჭირო სერვისების გამოკვეთა და ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არსებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების თემის საჭიროებებთან შესაბამისობის შეაფასება. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საკვლევ ამოცანებად განისაზღვრა: **სოციალური პრობლემები და მოწყვლადი ჯგუფები** - ერთი მხრივ, იმ ძირითადი სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება, რომელიც აქტუალურია ადგილობრივი მოსახლეობისათვის და მეორე მხრივ, განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფებისა და მათი სპეციფიური საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოგროვება. **ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ადმინისტრირებული სოციალური პროგრამები და მათი შესაბამისობა გამოკვეთილ საჭიროებებთან** - არსებული პროგრამებისა და მომსახურებების შესწავლა და მოსახლეობის სპეციფიური საჭიროებებთან მიმართებით მათი შესაბამისობის განსაზღვრა. **თემში არსებული რესურსი და მონაწილეთა რეკომენდაციები** - თემის ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების შეფასება და კვლევის მონაწილეთა რეკომენდაციები არსებული სოციალური პრობლემების დაძლევისა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

1.2. კვლევის მიდგომები და ინსტრუმენტები

კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვების მიზნით, მომზადდა კვლევის დიზაინი და დეტალურად გაიწერა შესწავლის განხორციელების ეტაპები, რომლის მიხედვითაც, საკვანძო ინფორმაციის მიღების მიდგომებად განისაზღვრა სამაგიდე ანალიზი, ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი. შესაბამისად, ინფორმაციის მოგროვება მოხდა, როგორც პირველადი, ისე მეორეული წყაროებიდან. კვლევის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინებულ იქნა მანამდე მომზადებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები.

ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფისათვის შემუშავებული გზამკვლევები/მოდერატორის სახელმძღვანელო გაცნობითი ნაწილის გარდა, შედგებოდა 3 თემატური კომპონენტისაგან: სოციალური პრობლემები და საჭიროების მქონე ჯგუფები, არსებული მუნიციპალური პროგრამები და მათი შესაბამისობა საჭიროებებთან, თემში არსებული შესაძლებლობები და გაუმჯობესების რეკომენდაციები.

სამაგიდე ანალიზისას შესწავლილ იქნა რელევანტური დოკუმენტაცია, მათ შორის უკვე განხორციელებული კვლევები/ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაცია: საბიუჯეტო პროგრამები, საშტატო ნუსხა, განხორციელებული პროგრამების 2020 და 2021 წლის ანგარიშები, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი.

სიღრმისეული ინტერვიუსათვის შერჩეულ პირებად განისაზღვრენ:

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი;
2. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური აგენტი;
3. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის სოციალური მუშაკი.

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებს აქვთ ცოდნა თემში არსებული სოციალური პრობლემების შესახებ და გამოცდილება სხვადასხვა მომსახურების/პროგრამის ადმინისტრირებისა და მიწოდების კუთხით, თითოეული მონაწილის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შემსრულებლი ორგანიზაციის მიერ გაიგზავნა ოფიციალური წერილი კვლევაში მონაწილეობის თაობაზე, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი ინტერვიურება.

1.4 მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა შეგროვებული მასალის აღწერის, ახსნისა და სისტემატიზაციის გზით. გაკეთდა თვისებრივი მონაცემების დახარისხება საკვლევი ამოცანების შესაბამის თემატურ ბლოკებად. გამოიყო აქტუალური თემები და მოხდა რესპოდენტებისეული ინტერპრეტაციის სისტემატიზაცია.

მონაცემთა დამუშავებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: ტრანსკრიფტის მომზადება - აუდიო ჩანაწერის გადატანა ნარატიულ ფორმატში; მონაცემთა კატეგორიზაცია - რესპონდენტთა საუბრიდან თემატური ბლოკებისა და ელემენტების გამოყოფა; ტიპოლოგიზაცია - ანალიზისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა და მათ შორის კავშირების დადგენა; შედეგების შეჯერება - მიღებული ინფორმაციის დაკავშირება კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან და ძირითადი მიგნებების იდენტიფიცირება.

1.5 კვლევის ეთიკის პრინციპები

ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები განხორციელდა კვლევისთვის მნიშვნელოვანი ისეთი ეთიკური პრინციპების დაცვით, როგორიცაა:

- **ინფორმირებული თანხმობა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა:** ფოკუს ჯგუფსა და ინტერვიუში მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია შესწავლის მიზნების, ფორმატის, ხანგრძლივობისა და მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება/დაცვის თაობაზე,

თემში არსებული მწვავე სოციალური პრობლემები: თვისებირვი კვლევის მონაწილეებს გაუჭირდათ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებების გამოყოფა, რადგან მათი შეფასებით, ზოგადი პრობლემები რაც ქვეყანაშია ისეთივე სიმძაფრით გვხვდება მუნიციპალიტეტშიც. მიუხედავად ამისა, გამოწვევების კუთხით გამოყო უმუშევრობისა და დაბალი შემოსავლების საკითხი, რომელიც კავშირიშია და წარმოშობს სხვა სოციალურ პრობლემებს, გამოიკვეთა ჯანმრთელობის დაცვასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობის პრობლემა, მუნიციპალურ ერთეულებს შორის გადაადგილების/ ტრანსპორტირების სირთულეები და ძველი შენობა-ნაგებობების რესტავრაციის საჭიროება. ამასთან, იკვეთება, რომ მუნიციპალური პროგრამების დაგეგვისა და ადმინისტრირების პრაქტიკა ასევე საჭიროებს გადახედვას, სოციალური პრობლემების უკეთ იდენტიფიცირებისა და საპასუხო ინტერვენციების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად.

მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები: სპეციფიურ ჯგუფებს შორის განხილულ იქნა **სოციალურად დაუცველი ოჯახების** საჭიროებები და გამოვლინდა, რომ მათ უჭირთ საბაზისო საჭიროებების დამოუკიდებლად დაკმაყოფილებლობა და უდგათ, როგორც უსაფრთხო საცხოვრისის პრობლემა, ისე კვების, საოჯახო ინვენტარისა და ელექტრო ტექნიკის საჭიროება. პრობლემურად იკვეთება ერთი მხრივ, სოციალური შემწეობის დანიშვნის წესი და მეორე მხრივ, დახმარებისადმი დამოკიდებულების გაჩენა და შემოსავლების განკარგვის სირთულე. ამასთან, გეოგრაფიული ხელმიუწვდომლობა და გადაადგილების სირთულეები აბრკოლებს უფასო სასადილოთი სარგებლობას. ჯგუფის შიგნით კიდევ უფრო მაღალი მოწყვლადობის ჯგუფად გამოიყვნენ მრავალშვილიანი ოჯახები და ოჯახები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით. **ხანდაზმულებს** აქვთ ჯანმრთელობის დაცვაზე ხელმისაწვდომობისა და ტრანსპორტირების (მაგალითად, სამედიცინო მომსახურების მისაღებად) სირთულეები, არასაკმარისი ასაკობრივი პენსია. სოფლებში ინტერნეტსა და ტექნიკაზე დაბალი წვდომა მათ იზოლაციასა და ინფორმაციაზე, მომსახურეებზე ხელმისაწვდომობას ართულებს. აქტუალურია მარტოხელა ხანდაზმულა საკითხიც. დამატებით გამოიყო უფასო იურიდიული მომსახურების დანერგვის ინიციატივაც, რაც ხანდაზმულთათვის დამხმარე იქნება განსაკუთრებით ქონებრივი დავებისა და ბანკებთან ურთიერთობის დროს. **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან** სამედიცინო მომსახურების მაღალი საჭიროება და უმრავლესად ოჯახების არასათანადო ფინანსური მდგომარეობა იკვეთება. ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გარემოს ადაპტირებასთან ერთად (მათ შორის სკოლების), თავად ეტლებით უზრუნველყოფაც პრობლემურია, იკვეთება პერსონალური ასისტენტის საჭიროებაც. ხოლო, უსინათლო და სმენადაქვეითებულ პირთა საჭიროებების უკეთ იდენტიფიცირების აუცილებლობა. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემი განსაკუთრებულად გამოიყო, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით დატვირთული დასახლება, რომლებსაც იმ მინიმალურ სერვისებზეც უჭირთ წვდომა, რაც მუნიციპალიტეტში განვითარებულია. გამოიკვეთა ჰიგიენის ნივთების, სპეციფიური სამედიცინო სერვისების, როგორიც არის გინეკოლოგისა და სტომატოლოგის კაბინეტი განვითარების საჭიროება. **ეთნიკურ უმცირესობებში** ენის ბარიერი აფერხებს მათ საბაზიზო, პროფესიულ და ან უმაღლეს სასწავლებლებზე წვდომას. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი ირიცხება

სპეციფიური ჯგუფების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

დამატებით, კონკრეტულ პროგრამებში დახმარების მიღების სოციალურ ქულებზე მიბმა ხდება დამაბრკოლებელი იმ ბენეფიციარებისთვის, რომელთა ქულათა რაოდენობაც ცდება დათქმულ ოდენობას, თუმცა აქვთ დახმარების მიღების საჭიროება. დახმარების მიღება პრობლემურია აზერბაიჯანელი მოქალაქეებისთის, რომლებსაც არ აქვთ მოქალაქეობა, ან ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომლებიც არ არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული.

კოორდინაცია და მოსახლეობის ინფორმირებულობა: მოსახლეობის ინფორმირებისთვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია იყენებს სოციალურ ქსელს, ასევე მერის წარმომადგენლები ჩართული არიან პროგრამების შესახებ ინფორმციის მოსახლეობამდე მიტანის პროცესში, თუმცა ირკვევა რომ ეს არ არის საკმარისი და საჭიროების მქონე პირები ყოველთვის არ ფლობენ სათანადო ცოდნას დახმარების არსებული შესაძლებლობების თაობაზე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საბიუჯეტო პროგრამების განხილვის პროცესში, ეს შეხვედრები იგეგმება უკვე მომზადებული ბიუჯეტის შესახებ, რაშიც ცვლილებების შეტანის ალბათობა, ახალი ინიციატივების გათვალისწინება ნაკლებად მოსალოდნელია.

კოორდინაციის მხრივ კი ირკვევა, რომ საჯარო სამსახურებთან ინფორმაციის გაცვლის მექანიზმი მეტ-ნაკლებად გამართულია, ხდება წერილობითი კომუნიკაცია და თანამშრომლობა. ასევე არასამთავრობო სექტორსა და მუნიციპალიტეტს შორისაც იკვეთება კომუნიკაციის გარკვეული მოდელის არსებობა, რაც ინიციატივების თანადაფინანსებაშიც გამოიხატება.

კორონა ვირუსით განპირობებული გამოწვევები: გაიზარდა ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით იმ ოჯახებისთვის ვინც დაკარგა სამსახური ან შემოსავალი მცირე ბიზნესიდან, ბავშვებს სირთულე შეექმნათ განათლების მიღებისას, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შედეგად, ეთნიკურ უმცირესობებს ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ ვირუსგან თავის დაცვის მეთოდებზე და ინფორმაციაზე, რის გამოც ნაკლებად ხდება შემთხვევათა დროული გამოვლენა. მომსახურებების შეჩერებისა ან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის შედეგები, განსაკუთრებით შეეხოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

კვლევის წარმოდგენილი შედეგები ეფუძნება, როგორც საველე სამუშაოების - ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში მიღებულ ინფორმაციას, ისე სამაგიდე ანალიზის შედეგებს, რაც თავისმხრივ ითვალისწინებს მანამდე განხორციელებულ კვლევებს, რელევანტურ სტატისტიკურ ინფორმაციას და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ კვლევისათვის საინტერესო დოკუმენტებს. ანალიზი მოცემულია თემატურ ბლოკებად და აერთიანებს: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური საჭიროებების შესახებ ინფორმაციას, არსებულ მუნიციპალურ პროგრამებსა და მათი მოსახლეობის საჭიროებებთან შესაბამისობის ანალიზს, თემში არსებული რესურსის მიმოხილვასა და მონაწილეთა ხედვა/რეკომენდაციების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

4.1 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზოგადი პროფილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სულ 68 დასახლებას აერთიანებს, რომელთაგან მუნიციპალური ცენტრია ქალაქი ლაგოდეხი და 15 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცენტრში შედის 67 სოფელი. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 41 679 პირი ცხოვრობს, საიდანაც ქალებისა და კაცების გადანაწილება თითქმის თანაბარია.[1] მოსახლეობის 85% სოფლად ცხოვრობს და ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისითად 67.2% ქართველი, 25.6% აზერბაიჯანელი, 4.9% ოსი, 1.7% რუსი და 0.3% სომეხია.[2]

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიაში (2020-2024) ვკითხულობთ, რომ მოსახლეობის 51.1% სოფლის მეურნეობის სექტორში თვითდასაქმებულია, 17.2% პენსიონერია, 8.9%-ს აქვს მუდმივი სამსახური საჯარო, ხოლო 4.9%-ს კერძო სექტორში, 8% კი დროებით ან სეზონურად დასაქმებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ფერმერულ მეურნეობაში უფრო მეტი თვითდასაქმებული მამაკაცია ჩაბმული, ვიდრე ქალი. ამავე დოკუმენტით, გადასაჭრელ პრიორიტეტულ საკითხთა შორის ხვდება ცხოვრების სოციალური პირობები (სასმელი წყალი, საგზაო ინფრასტრუქტურა, სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, ქუჩების ნუმერაცია და ა.შ), სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საკითხები (სარწყავი სისტემა, ნიადაგის კვლევა, მიწების რეგისტრაცია და სახელმწიფო პროგრამებზე წვდომა), ტურიზმის განვითარება, გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების რისკისა და ზიანის შემცირება, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება (დემოგრაფიული საკითხები და ახალგაზრდების გადინება, გართობისა და განვითარების ცენტრების არარსებობა).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში პენსიის მიმღები 7 709 პირი ფიქსირდება, ხოლო სოციალური პაკეტით 2 608 მოქალაქე სარგებლობს.[3] სოციალური მომსახურების სააგენტოს, 2021 წლის ივლისის მდგომარეობით, კი საარსებო

[1] საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[2] ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ვანვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2019, LAG

[3] https://www.geostat.ge/

4.2 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საჭიროებები

ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუებისას მონაწილეთა მიერ ხაზი გაესვა გარემოებას, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას რაიმე განსკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური საჭიროება, რაც სპეციფიური მხოლოდ ამ მუნიციპალიტეტისათვის შეიძლება იყოს არ აქვს და ზოგადად ქვეყანაში არსებული გამოწვევებია, რაც ადგილზე მოსახლეობასაც აწუხებს. ნიშანდობლივია, რომ სოციალური სერვისების საჭიროებების რაოდენობრივ კვლევაშიც, სოციალური საჭიროებები ყველაზე ნაკლებად სწორედ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დასახელდა, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს პრობლემების სახელდების სირთულეს. მიუხედავად ამისა, რამოდენიმე საყურადღებო გამოწვევაზე მაინც შეიძლება საუბარი: უმუშევრობა და სამუშაო ადგილების ნაკლებობა, მედიკამენტებსა და ჯანმდაცვაზე ხელმისაწვდომობა, სოფლებს შორის ტრანსპორტირება, სოციალური კვლევების არარსებობა/მოსახლეობის საჭიროებების შესახებ ნაწილობრივი ცოდნა, რაც მუნიციპალური პროგრამების დაგეგმვა/განხორციელებაში გამოიხატება.

„პრობლემები განსხვავებული და განსაკუთრებული არაა იმისგან რაც მოსახლეობის უმრავლესობას აქვს. მხოლოდ ლაგოდეხს რომ აწუხებდეს ეგეთი პრობლემა არ გვაქვს. რა პრობლემებიც აწუხებს ქართულ მოსახლეობას, ის აწუხებთ ლაგოდეხშიც“.

(ადგილობრივი თემის წევრი)

უმუშევრობა და დაბალი შემოსავლები - საკითხთან მიმართებით აღინიშნა, რომ სწორედ ესაა წამყვანი პრობლემა, რაც წარმოშობს შემდგომში ბაზისური საჭიროებების, როგორიც არის კვება, სამედიცინო მომსახურება, ბავშვისათვის ტანსაცმლის, განმავითარებელი სათამაშოების შეძენის და სხვა სირთულეს. შესაბამისად, მაღალია სოციალური დახმარების მიღებაზე მოთხოვნა.

„დასაქმების კუთხით ცუდი მდგომარეობაა, არაა დასაქმების ადგილები. დიდი რაოდენობაა სოციალური დახმარების მიმღებების“.

(სახელმწიფო სოციალური სამსახურის წარმომადგენელი)

რაოდენობრივი კვლევის მიხედვით იგივე გამოწვევა არ იკვეთება და პირიქით, მონაწილეთა უმეტესობა (77.2%) თავს შომოსავლის შემომტანად მიიჩნევს.

ჯანმრთელობის დაცვა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა - დისკუსიებისას გამოიყო სოფლებში ამბულატორიებისა და აფთიაქების არარსებობა, რომლის საჭიროებაც აქვს ყველა ასაკობრივ კატეგორიას, თუმცა განსაკუთრებით ხაზი გაესვა ხანდაზმულების ჯგუფს, რომლებსაც ისედაც უჭირთ გადაადგილება და უწევთ მუნიციპალურ ცენტრში ჩასვლა სამედიცინო მომსახურების მისაღებად. ცალკე აღინიშნა მედიკამენტებზე გაზრდილი ფასები და მათი შეძენის სირთულე. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ მედიკამენტებს სახელმწიფო პროგრამა ფარავს, ეს არაა საკმარისი არსებული საჭიროების შესავსებად.

4.2.1 სპეციფიური ჯგუფები და მათი საჭიროებები

სპეციფიური ჯგუფები და მათი საჭიროებები კი შემდეგნაირად შეფასდა:

სოციალურად დაუცველი პირები/ოჯახები

გამოწვევები, რომლებიც სოციალურად დაუცველ პირებს აქვთ ძირითადად არ არის მხოლოდ ერთი მიმართულებით და გამოიხატება საბაზისო საჭიროებების დამოუკიდებლად დაუკმაყოფილებლობაში. ოჯახებს აქვთ როგორც უსაფრთხო საცხოვრისის პრობლემა, ისე კვების, საოჯახო ინვენტარის, ელექტრო ტექნიკის საჭიროება. კიდევ უფრო მაღალი მოწყვლადობის ჯგუფად გამოიყვნენ მრავალშვილიანი ოჯახები და ოჯახები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით, რომელთაც ეკონომიკურ გამოწვევებთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში მძიმე საცხოვრებელი პირობები აქვთ და შესაძლოა ვერ სარგებლობდნენ სახელმწიფო შემწეობით.

„არის ოჯახი, რომელზეც ფაქტიურად მიწაზე ცხოვრობს, შშმ პირია, დადის მწყემსად, სოციალურად დაუცველებში ვერ მოხვდა. სამწუხაროა, რომ ვერ მოხვდა ბაზაში. შემონაბაც ავარიული“.

(სახელმწიფო სოციალური სამსახურის წარმომადგენელი)

აქვე იკვეთება სოციალური დახმარების დანიშვნის წესის ნაკლებად მორგებულობა მოსახლეობაზე, რაც ქმნის პრობლემას და აჩენს უთანასწორობის განცდას მაცხოვრებლებში. გარდა იმ პირებისა, რომლებიც ხვდებიან პროგრამაში, არიან მოქალაქეები, რომლებსაც ასევე მძიმე ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა აქვთ, თუმცა შეფასებისას დაგროვილი ქულები არ ჰყოფნით დახვარების მისაღებად.

„სოციალური დახმარება დიდ პრობლემას ქმნის. ზოგს მართლა რომ უჭირს იმათ არ აქვთ და სხვებს ენიშნებათ“.

(ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)

„ძალიან ხშირია, როდესაც ვხედავთ, რომ საჭიროებაა, მაგრამ ქულა არ მოდის. თუ რამე ცვლილება არ მოხდა ოჯახში, ხელახლა გადამოწმება ვერ მოხდება 1 წლამდე“.

(სახელმწიფო სოციალური სამსახურის წარმომადგენელი)

მიდგომა უხერხულობას აჩენს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებშიც, რადგან ბენეფიციარების მიერ სწორედ მათთან ხდება უკმაყოფილების დაფიქსირება და არის განცდა, რომ სოციალური სააგენტოს მიერ შეფასების პროცესში იმ საჯარო მოხელეების შეფასებები არაა გათვალისწინებული, რომლებსაც აქტიური შეხება აქვთ მოსახლეობასთან და იცნობენ მათ პრობლემებს.

სოციალურად დაუცველთათვის არსებული უფასო სასადილოთი სარგებლობის სირთულე უდგათ იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც გადაადგილების ან გეოგრაფიული ხელმიუწვდომლობის პრობლემა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

ამ სამიზნე ჯგუფთან მიმართებით, გამოწვევებში იკვეთება სამედიცინო მომსახურების მაღალი საჭიროება და უმრავლესად ოჯახების არასათანადო ფინანსური მდგომარეობა, რომ მიიღონ მათთვის საჭირო სერვისები. ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გარემოს ადაპტირებასთან ერთად, თავად ეტლებით უზრუნველყოფაც პრობლემურია.

ადგილზე ფუნქციონირებს 2 დღის ცენტრი 0-6 წლამდე (ააო „სამარიტელთა კავშირი") და 6-18 (ააო „მადლი") წლამდე პირებისათვის, თუმცა 18 წელს მიღწეული პირები დღის ცენტრიდან გასვლის შემდეგ, ფაქტიურა მოკლებულნი არიან ყოველგვარ მომსახურებას, რადგან ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის არ არის განვითარებული მხარდამჭერ/სარეაბილიტაციო პროგრამები.

„დღის ცენტრიდან გასული სრულწლოვანი პირები ზრუნვის მიღმა რჩებიან. შშმ პირებისთვის ეს დიდი პრობლემაა".

(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტის არასებობასთან ერთად, მონაწილეებმა დააფიქსირეს უსინათლო და სმენადაქვეითებულ პირთა საჭიროებების არასაკმარისად იდენტიფიცირება, რაც ართულებს ამ სამიზნე ჯგუფთან მიმართებით სპეციფიური აქტივობების დაგეგმვას.

გარემოს ადაპტირება ასევე ეხება საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც შესაძლოა ბავშვები მხოლოდ ფორმალურად ირიცხებოდნენ და რეალურად არ დადიოდნენ სკოლაში. განათლების მიუღებლობა, შემდეგ ისედაც არსებული დასაქმების ლიმიტირებული შესაძლებლობების პირობებში, ამ ჯგუფს კიდევ უფრო მწვავედ ტოვებს შრომის ბაზრის მიღმა.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემი განსაკუთრებულად გამოიყო, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით დატვირთული დასახლება, რომლებსაც იმ მინიმალურ სერვისებზეც უჭირთ წვდომა, რაც მუნიციპალიტეტში განვითარებულია.

„კაბალის თემში ბაევრია შშმ პირი. არანაირი ცენტრი არ არის, რითაც ისარგებლებდნენ. რეაბილიტაციას პროგრამასა და დღის ცენტრში გვყავს ამ თემიდან ბავშვები. სამედიცინო რეაბილიტაცია უფრო ხილულია და უფრო რთავენ ოჯახები, ვიდრე დღის ცენტრში".

(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

თუმცა მეორე მხირვ, ირკვევა რომ თავად ეს სერვისებიც სამარისი არაა.

„იყო შემთხვევა 12 წლის ბავშვი დააოჯახეს, რომელსაც სკოლაში საერთოდ არ უვლია. სახელმწიფო ზრუნვაში გადმოვიყვანეთ და ახლა დადის სკოლაშიც. დიდი თემია და აუთვისებელი“.

(სახელმწიფო სოციალური სამსახურის წარმომადგენელი)

ნაადრევ ქორწინებასთან ერთად, თავს იჩენს ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის რისკები. იმის, გარდა რომ ქალი გინეკოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე შესაძლოა მხოლოდ მშობიარობის ეტაპზე მივიდეს და მანამდე არ ისარგებლოს საკონსულტაციო მომსახურებებით, სხვა დროსაც ხელმიუწვდომელია სრულფასოვანი და კონფიდენციალური სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა, რადგან უმრავლესად ოჯახის წევრები (ძირითადად ქმარი, დედამთილი) ესწრება კონსულტაციას.

ბავშვები

სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვებისათვის პრობლემურია კვება, ტანსაცმლის, ვიტამინის საჭიროების დაკმაყოფილება.

აქცენტი გაკეთდა ბავშვების განვითარებისთვის მნიშვნელოვან ისეთ სპეციალისტებზე, როგორც არის ლოგოპედი, ფსიქოლოგი, რომელთა რესურსიც ადგილზე არასაკმარისია. ასევე ხაზი გაესვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის სპეციალური დამხმარის საჭიროებასაც ბაღსა და სკოლაში.

მზარდია ძალადობის შემთხვევები, რასაც მონაწილეები განათლების ნაკლებობას, სოციალურ ფონსა და უფლებების შესახებ ინფორმირებულობას უკავშირებენ. ძალადოფოს ფორმებს შორის, მეტად გამოიყო უგულებელყოფა, ფიზიკური ძალადობა.

მძიმე ეკონომიკური პირობების ფონზე, ბავშვთა შორმის არსებობა თანმდევ გამოწვევად შეფასდა.

„ბავშვთა შრომაც აქტუალურია, მიწადმოქმედებას მისდევენ და ოჯახებს ეხმარებიან ბავშვები სხვადასხვა საქმეებში. წინა წელს იყო 1 შემთხვევა სკოლიდან მომართვის, რომელიც აღარ დადიოდა სკოლაში და ოჯახს ეხმარებოდა“.

(სახელმწიფო სოციალური სამსახურის წარმომადგენელი)

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. ხდებოდა სასურსათო კალათების შეძენა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მიწოდება. ამუშავდა მუნიციპალიტეტის ცხელი ხაზი, სადაც ძირითადად სასურსათო პაკეტის მოთხოვნაზე შედიოდა ზარი. სააფთიაქო ქსელებზე გართულებული წვდომის პირობებშიც, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ახდენდნენ მედიკამენტების ბინაზე მიწოდებას.

4.4 მუნიციპალური ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამები და მათი შესაბამისობა მოსახლეობის საჭიროებებთან

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 201 509 000 ლარს, საიდანაც სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე მიმართული სახსრების ოდენობა განსაზღვრულია 902 200 ლარით, რაც მთლიანი ბიუჯეტის 4.5%-ია.

აღნიშნული ბიუჯეტით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით 15 პროგრამა ხორციელდება, რომელთაგან 2 ჯანდაცვას, ხოლო 13 სოციალურ საკითხებს მიემართება. აღსანიშნავია, რომ არსებულ პროგრამათაგან, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“ (ბიუჯეტით: 138 000 ლარი) ადმინისტრირდება ა.ა.ი.პ ლაგოდეხის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის მიერ, ხოლო „ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ (ბიუჯეტით: 16 000 ლარი), იმართება თავად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. დარჩენილი 13 პროგრამის ადმინისტრირება/მოქალაქეებისათვის მომსახურების მიწოდება კი ხდება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის 8 თანამშრომელის მიერ, რომელთაგან 4 სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებზე, ხოლო 4 ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებაზე მუშაობს.

მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით, სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები ითვალისწინებს „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალურ პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას“.

პროგრამების სამიზნე ჯგუფებად იკვეთებიან:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და ზრდასრულები;
- უსინათლო პირები;
- ობოლი და მარჩენალდაკარგული ბავშვები;
- ბავშვიანი ოჯახები;
- მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლები;
- ომისა და საომარი მოქმედებების მონაწილეები/ოჯახის წევრები;
- იძულებით გადაადგილებული პირები;

პროგრამის დასახელება	დახმარების ფორმა	სამიზნე ჯგუფები	ბიუჯეტი (ლარი)	ბენეფიციართა მოსალოდნელი რაოდენობა
ჯანდაცვის პროგრამები				
საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 06 01 01	ეპიდზედამხედველობა, იმუნიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა, სკრინინგი, დაავადებათა პრევენცია, მკურნალობა	მუნიციპალიტეტის მოსახლეობა	138 000	N/A
ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია 06 01 02	სოფლებში მდებარე ამბულატორიებამდე სასმელი წყლის, ბუნებრივი აირისა და ელექტრო ენერგიის ქსელების მიყვანა		16 000	
სოციალური პროგრამები				
ჰემოდიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა 06 02 01	ტრანსპორტირების ხარჯის გამოყოფა კვირაში 3-ჯერ დიალიზის მისაღებად	თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირები	30 000	N/A
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 06 02 02	ერთჯერადი და ყოველთვიური ფულადი დახმარება 100-500 ლარამდე; ელექტრო ენერგიის საფასურის დაფარვა	ბავშვიანი ოჯახები, ობოლი და მარჩენალდაკარგული ბავშვები; ახალშობილები	152 000	570
სამედიცინო კვლევების, სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსება 06 02 03	ოპერაციის, მკურნალობის თანხის დაფარვა 100-500 ლარამდე;	ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები	244 000	N/A
უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსება 06 02 04	ლაგოდეხის წითელი ჯვრის ფილიალის თანადაფინანსება	წითელი ჯვრის ბენეფიციარი ხანდაზმულები	48 000	70
სტუდენტების დახმარების პროგრამა 06 02 05	ერთჯერადი დახმარება 500 ლარით	მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, დედით და მამით ობოლი და მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები	N/A	34
მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა 06 02 06	უფასო კვება	სოფელ აფენში რეგისტრირებული შშმ და ხანდაზმული პირები	118 000	140
იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა 06 02 07	ფულადი ერთჯერადი დახმარება 200 ლარით	იძულებით გადაადგილებული პირები	13 000	290

2021 წლის პროგრამათა ჩამონათვალის 2020 წელთან შედარებისას ჩანს, რომ ამ კუთხით ცვლილებები არ განხორციელებულა და მუნიციპალიტეტის მიერ გაგრძელდა 2020 წლის პროგრამების მართვა. თავად ბიუჯეტშიც მნიშვნელოვანი განახლებები არ არის ასახული და მხოლოდ უმნიშვნელო სხვაობა შეინიშნება პროგრამებზე მიმართულ სახსრებს შორის.

2020 წლის ანგარიშით ირკვევა, რომ ყველაზე დიდი რესურსი მიმართული იყო სამედიცინო კვლევებისა და სტაციონალური მომსახურების დახმარების თანადაფინანსებაზე, სადაც გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა 220 518.91 ლარი და ისარგებლა 525 ადამიანმა; შემდეგ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და მიტოვების რისკს მიღმა მყოფ პირთა ფუნქციური უნარების გაუმჯობესების, საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლების, სოციალური ინტეგრაციის და ინკლუზიის ხელშეწყობა, ჯამში 116 490 ლარით; უფასო კვება დაუფინანსდა 140 ბენეფიციარს რაზეც ხარჯმა შეადგინა 110 740,75 ლარი; 114-მა მრავალშვილიანმა ოჯახმა, 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილით, მიიღო დახმარება 50 800 ლარის ოდენობით; ხოლო ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება პირველ და მეორე ბავშვზე გაიცა 318 ოჯახზე და გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა 48 200 ლარი.

2021 წლის, მაისის მდგომარეობით, ყველაზე მეტი ფინანრუსი რესურსი მიიმართა შემდეგი პროგრამებისკენ:

- სამედიცინო კვლევებისა და სტაციონალური მომსახურების დახმარების თანადაფინანსებით გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 99080 ლარი და საანგარიშო პერიოდში ისარგებლა - 220 ადამიანმა;
- მრავალშვილიანი ოჯახებიდან, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი, დახმარებით ისარგებლა -94 ოჯახმა (100 ლარი თითოეულ ბავშვზე ერთჯერადი დახმარების სახით მთელი წლის განმავლობაში) და გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 43 400 ლარი;
- ახლად დაბადებულ ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება პირველ და მეორე ბავშვზე, გაიცა 97 ოჯახზე და გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 15400 ლარი;
- ჰემო-დიალიზზე და პერიტონეალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვის დახმარების ფარგლებში გაწეული დახმარების ოდენობამ (ტრანსპორტირების თანხის უზრუნველსაყოფად) შეადგინა - 11 900 ლარი და საანგარიშო პერიოდში ისარგებლა - 25 ადამიანმა;
- ხოლო, გაუსაძლის პირობებში მცხოვრები ან სტიქიის შედეგად და უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის (ბინის ქირა) დახმარების ფარგლებში, გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 9780 ლარი, რითაც მუნიციპალიტეტი დაეხმარა 20 ადამიანს.

სხვა პროგრამების შემთვევაში გახარჯულია მხოლოდ მცირე თანხები, ხოლო ნაწილი მოსალოდნელია რომ ათვისებულ იქნება წლის ბოლომდე.

4.5 პროგრამების დაგეგმვა, სექტორთაშორისო კოორდინაცია და მოსახლეობის ინფორმირება

მოსახლეობის ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, რამდენიმე გარემოება გამოიკვეთა: ის პირები, რომლებსაც წინა წელს უსარგებლიათ მუნიციპალური პროგრამით, თავისთავად ფლობენ ინფორმაციას და ახალი წლის დაწყების შემდეგ, პროაქტიულად, ან მუნიციპალიტეტის ჩართულობით, აფიქსირებენ მოთხოვნას.

„ძირითადი პროგრამით მოსარგებლეები ვინც არიან, წლებია იღებენ დახმარებას. ბაზა გვაქვს, იციან პროგრამა და ჩვენც ვუზყობთ ხელს რომ მოგვმართონ, მაგალითად იანვრიდანვე რომ არ დაკარგონ დახმარება“.

(ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომელი)

ხოლო, ისეთ ბენეფიციარებს, რომლებსაც მანამდე მსგავსი გამოცდილება არ აქვთ, შესაძლოა ინფორმაცია მიეწოდოთ მუნიციპალიტეტში მისვლის შემდეგ, მას მერე, რაც თავად მიაკითხავენ დახმარების თაობაზე.

თავისმხრივ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია, ინფორმაციის გავრცელებისათვის იყენებს სოციალურ ქსელს, ასევე მერის წარმომადგენლები ჩართული არიან პროგრამების შესახებ ინფორმციის მოსახლეობამდე მიტანის პროცესში, რაც დადებითად ფასდება სახელმწიფო სოციალური სამსახურის მიერ „მუნიციპალიტეტის პროგრამებზე იშვიათადად გვჭირდება ინფომრაციის მოწოდება. წარმომადგენლები ალბათ კარგად მუშაობენ. ბენეფიციარება უკვე იციან პროგრამებზე“.

(სახელმწიფო სოციალური სამსახურის თანამშრომელი)

„მუნიციპალიტეტის მიერ ხდება მოსახლეობის ინფორმირება. სოფლები ბევრია, 15 თემია და 67 სოფელი. მჭიდროდაა დასახლებული და მოსახლეობა ერთმანეთს აწვდის ინფორმაციას. ამითი ადვილად ვრცელდება და მერის წარმომადგენლები და საკრებულოს წევრებიც არიან ჩართული“.

(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

თუმცა აღნიშნულზე განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა მონაწილეთა მეორე ნაწილს, რომლებიც მიუთითებნენ მოსახლეობაში ინფორმირების ნაკლებობაზე, ზოგადად მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამების შემუშავების პრობლემურობაზე და ხედავენ საჯარო მოხელეთა როლისა და ძალისხმევის გააქტიურების აუცილებლობას.

„ქმნიან პროგრამებს. მოძიება, პრევენცია და მათი ინიციატივით გადაჭრა არ ხდება. საჯარო მოხელეების გულგრილ დამოკიდებულებაა. თავის მოვალეობებს არ ასრულებენ“.

პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სულ 3 სპეციალისტი მონაწილეობს და სამსახური საჭიროებს დამატებით ზრდას, მით უფრო რომ ჯერ კიდევ ასამუშავებელია ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

4.5 თემში არსებული რესურსი

როგორც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიაშია 2020-2024[6] ვკითხულობთ, თემის ძლიერი მხარეა:

- **მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი** - მიუხედავად იმისა, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტურისტული ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად საჭიროებს გაუმჯობესებას, მაღალია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისადმი ვიზიტორებისა და ტურისტების ინტერესი, რაც ქმნის ხელსაყრელ გარემოს ტურისტული პოტენციალის განვითარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს 2016 წელთან შედარებით ვიზიტორთა საერთო რაოდენობა საშუალოდ 13.7%-ით გაიზარდა. მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა და აზერბაიჯანთან სიახლოვე, მუნიციპალიტეტს ასევე შესაძლებლობას აძლევს მეტად დაინტერესოს და მოიზიდოს ვიზიტორები მეზობელი ქვეყნიდან.

- **სოფლის მეურნეობის მიმართულება** - სექტორში დასაქმებულია მუშახელის 60-70% და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის 70% სწორედ სოფლის მეურნეობაზე მოდის. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ძირითადი სახეობებია: მემცენარეობა, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მოყვანა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა ზეთოვანი კულტურების წარმოება. მაგალითად, მარცვლოვანი კულტურებიდან მიღებული მოსავალი ჯამურად 70 000-80 000 ტონას შეადგენს. ამიტომაც, სოფლის მეურნეოის განვითარების წახალისება, წარმოებული პროდუქტის რეალიზაციაში მოსახლეობის დახმარება, ნამდვილად გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

„საკმაოდ ნაყოფიერი რაიონია მოსავლიანობის თვალსაზრისით და სწორად რომ დაიგეგმოს რეალიზაცია უკეთესი იქნება“.

(ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)

გარდა ამ 2 დარგისა, აუცილებლად უნდა გამოიყოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისადმი **არასამთავრობო სექტორის მაღალი ინტერესი** და ისეთი ორგანიზაციების მიერ ინიციტივები და პროექტები, როგორიცაა წითელი ჯვარი, CARE, არბაიტელ-სამარიტელთა ბუნდი (ASB), საქართველოს სამარიტელთა კავშირი, „მადლი“, დამოუკიდებელი პლათფორმა „ლაგოდეხის განვითარების ჯგუფი“ (LAG) და სხვა. ამ ორგანიზაციების გავლით, ადგილოვრივი და

[6] ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2019, LAG

5. მონაწილეთა რეკომენდაციები

ფოკუს ჯგუფისა და ინტერვიუების მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეთქვათ რეკომენდაციები და მოსაზრებები მათ მიერ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რაც შემდეგ საკითებად ჩამოყალიბდა:

- სოციალური პრობლემების სიღრმისეული კვლევა, საჭიროების მქონე პირთა შესახებ სანდო სტატისტიკური და თვისებრივი მონაცემების შეგროვება და შესაბამისი ბიუჯეტის პროგრამების დაგეგმვა;
- არსებული მუნიციპალური პროგრამებით გათვალისწინებული დახმარების გაზრდა ყველა მიმართულებით და დამატებით, ყურადღების გამახვილება ახალშობილების დახმარების, სოციალურად დაუცველთა ყოველთვიური დახმარების, ოპერაციების დაფინანსების საკითხზე;
- პროგრამების დაგეგმივსა და ადმინისტრირებისას კომპლექსური მიდგომების გამოყენება;
- 0-1 წლამდე კვებითი დანამატების საჭიროების მქონე ბავშვების საკვებით უზრუნველყოფის პროგრამის განვითარება (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოჯახი ელოდება სახელმწიფო პროგრამაში ჩართვას და კრიტიკული პერიოდია ბავშვისთვის);
- შინმოვლის პროგრამის განვითარება ხანდაზმული და სხვა საჭიროების მქონე პირებისათვის;
- 18 წელს გადაცილებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მეტი დახმარების გაწევა;
- პოზიტიური მშობლობის ტრენინგების ინიცირება, შეხვედრებისა და ინფორმირებულობის გაზრის აქტივობების განხორციელება;
- არასრულწლოვანთა ქორწინების შესახებ საინფორმაციო კამპანიების წარმოება ყველა ჯგუფისათვის და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება;
- ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების დროულად ფორმირება და ამუშავება;
- მერის წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება, სათანადო ინსტრუმენტებით/კითხვარებით აღჭურვა, მათი გააქტიურების წახალისება;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა და მერის წარმომადგენელთა მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი და კონტროლის გაძლიერება;
- არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ინფორმაციის გაცვლის უკეთესი მექანიზმის დანერგვა;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სოციალურად დაუცველ პირთა შეფასების კრიტერიუმების გადახედვა;
- განათლების რესურს ცენტრში სოციალური მუშაკის კადრის დამატება;
- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთ დახმარების სააგენტოს მიერ ცენტრალური პროგრამების ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დანერგვა და მოსახლეობის მეტად ინფორმირება არსებულ სახელმწიფო პროგამებზე;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაძლიერება და პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა;
- ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა, ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და სახელმწიფოს როლის გაზრდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციაში.